ხელშეკრულება №31/03/17

ქ. თბილისი

31 მარტი 2017 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“, წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ნინო ნახუცრიშვილის სახით (შემდგომ -„შემსყიდველი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი მზია ჩიქოვანის სახით (შემდგომ -„მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებლის მიერ მონაწილეობის მიღება როგორც მუსიკოს-შემსრულებელი ეროვნული მუსიკალური ცენტრის 2017 წლის 3 აპრილის კონცერტზე (ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი- მირიან ხუხუნაიშვილი, სოლისტი- მარიამ ბაწაშვილი) (შემდეგში „სამუშაო") (CPV-92300000) (დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები)

1.2. „შემსყიდველი" თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულების 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის გადაუხადოს „მიმწოდებელს“ მომსახურების ღირებულება 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით.

1.3. 1.2. პუნქტში გათვალისწინებული თანხა გადაერიცხება „მიმწოდებელს“ მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

1.4. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10 პრიმა მუხლის III პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის განკარგულება №98.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. „მიმწოდებელმა” 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაო” უნდა შეასრულოს საქართველოში მოქმედი ხარისხის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

2.2. „შემსყიდველი" ვალდებულია განიხილოს შესრულებული „სამუშაო" და წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს" „სამუშაოს" მოწონების ანდა მისი დაწუნების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შესახებ.

2.3. თუ „მიმწოდებელს” 7 (შვიდი) დღის ვადაში არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება, შესრულებული „სამუშაო" „შემსყიდველის" მიერ მოწონებულად ითვლება.

2.4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებლის" მიერ განხორციელებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების 1.1. პუნქტში ასახულ პირობებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან შეუმციროს საზღაური „მიმწოდებელს" იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

3. ხელშეკრულების ვადა

3.1. „შემსყიდველის" მიერ „სამუშაოს" მიღება ხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 30 მაისამდე.

3.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;
ბ) „შემსყიდველის" მიერ, „სამუშაოს" დასრულებამდე ნებისმიერ დროს;

3.4. იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება წყდება 3.3. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" შესრულებული „სამუშაოს" ღირებულება.

4. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

4.1. მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

5.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

6. დავა

6.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
6.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

8.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“

საიდენტ. კოდი 205065196
მის.: თბილისი. დ. აღმაშენებლის გამზ. №182
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22
ა/ა 7 0808 7162

გენერალური მენეჯერი

.. ნ. ნ ....

ნინო ნახუცრიშვილი

მიმწოდებელი

მზია ჩიქოვანი

დაბ:. 13.11.1965 წ.
პირ. №60002009690
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
SWIFT: UGEBGE22
IBAN: GE21VT1000001191474506
ტელ.:

ფიზიკური პირი

.. ..მ. ჩიქოვანი..

მზია ჩიქოვანი